

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესი

1. წესის მიზანი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესის (შემდგომში – წესი) მიზანია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში – კომისია) თავმჯდომარის არჩევის პროცედურული წესების განსაზღვრა.

2. არჩევნების დანიშვნა

1. კომისიის თავმჯდომარის არჩევნები ინიშნება კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით.

2. არჩევნების დანიშვნის შესახებ ბრძანებაში უნდა მიეთითოს:

- ა) თავმჯდომარეობის კანდიდატის/კანდიდატების რეგისტრაციის ვადა;
- ბ) არჩევნების ჩატარების თარიღი და ადგილი;
- გ) საარჩევნო ბიულეტენის ფორმა.

3. ხმის დამთვლელი კომისია

1. კომისიის თავმჯდომარის არჩევის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს სამი წევრისგან შემდგარი ხმის დამთვლელი კომისია, რომლის ფუნქციებია კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის/კანდიდატების რეგისტრაცია, საარჩევნო ბიულეტენების მომზადება და დარიგება, ხმების დათვლა, კომისიის თავმჯდომარის არჩევის შედეგების გამოცხადება და კენჭისყრის ოქმის შედგენა.

2. ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის აპარატის აღმასრულებელი დირექტორი, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის დირექტორი და იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი.

3. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეა კომისიის აპარატის აღმასრულებელი დირექტორი.

4. კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის/კანდიდატების დასახელება

1. კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის/კანდიდატების დასახელების მიზნით, კომისიის არანაკლებ ორი წევრი, საქმისწარმოების ავტომატიზებული პროგრამის – ელექტრონული სისტემა eDocument-ის საშუალებით განცხადებით მიმართავს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს.

2. თუ დასახელებული კანდიდატი არ არის კომისიის იმ წევრებს შორის, რომლებიც ასახელებენ კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატს, საჭიროა საქმისწარმოების ავტომატიზებული პროგრამის – ელექტრონული სისტემა eDocument-ის საშუალებით მისი წერილობითი თანხმობის წარმოდგენა.

3. კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატად შესაძლებელია დასახელდეს კომისიის ნებისმიერი წევრი, მიუხედავად კომისიის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადისა.

4. კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის/კანდიდატების დასახელების შემდეგ ხმის დამთვლელი კომისია ბეჭდავს საარჩევნო ბიულეტენებს, სადაც კანდიდატის რიგითი ნომერი განისაზღვრება მისი დასახელების რიგითობის მიხედვით.
5. კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატს უფლება აქვს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მოხსნას თავისი კანდიდატურა ნებისმიერ დროს, მათ შორის, კენჭისყრის წინ.

5. კომისიის თავმჯდომარის არჩევა

1. კომისიის თავმჯდომარის არჩევის დაწყებამდე ხმის დამთვლელი კომისია ამოწმებს საარჩევნო ყუთს.
2. კენჭისყრაში მონაწილეობის მიზნით ხმის დამთვლელი კომისია კომისიის თითოეულ წევრს გადასცემს ერთ საარჩევნო ბიულეტენს.
3. კომისიის თავმჯდომარეს ფარული კენჭისყრით ირჩევს კომისია საკუთარი შემადგენლობიდან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 3 წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს კომისიის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადისა.
4. კომისიის წევრი ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. არჩევნებში მონაწილე კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ფარულად ხმის მიცემა კომისიის წევრის მიერ უნდა განხორციელდეს კომისიის თავმჯდომარეობის სასურველი კანდიდატის რიგითი ნომრის შემოხაზვის გზით. სხვა ფორმით შევსებული საარჩევნო ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.
5. შევსებული საარჩევნო ბიულეტენი თავსდება საარჩევნო ყუთში. კენჭისყრის დასრულების შემდეგ ხმის დამთვლელი კომისია ხსნის საარჩევნო ყუთს, კომისიის წევრების თანდასწრებით თვლის მასში მოთავსებულ საარჩევნო ბიულეტენებს და რეგისტრირებული კანდიდატის/კანდიდატების მიერ მოპოვებულ ხმებს.

6. განმეორებითი არჩევნები

1. თუ კომისიის თავმჯდომარის არჩევისას ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა საჭირო რაოდენობას და/ან ხმათა თანაბრად გაყოფის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, არჩევნები ითვლება ჩაშლილად და ამ წესების შესაბამისად, 2 დღის ვადაში, ინიშნება განმეორებითი არჩევნები.
2. თუ კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატად დასახელებულია მხოლოდ ერთი კანდიდატი, მის მიერ ამ წესის მე-4 პუნქტის მე-5 ქვეპუნქტის შესაბამისად კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში განმეორებითი არჩევნები ინიშნება ამ პუნქტის პირველი ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით.

7. კენჭისყრის შედეგების გამოცხადება

1. არჩევნებში გამარჯვებულად ცხადდება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს არჩევნებში მონაწილე წევრების ხმათა უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობისა.
2. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე აცხადებს ხმების დათვლის პროცედურის დასრულების შედეგებს და მატერიალური ფორმით ადგენს კენჭისყრის ოქმს, რომელსაც ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის ყველა წევრი.

8. კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის დაწყება

1. ხმის დამთვლელი კომისია ხელმოწერილ და კომისიის ბეჭდით დამოწმებულ კენჭისყრის ოქმს წარუდგენს კომისიას.
2. კომისიის თავმჯდომარის არჩევნების შედეგები, ხმის დამთვლელი კომისიის მიერ შედგენილი კენჭისყრის ოქმის საფუძველზე, მტკიცდება კომისიის გადაწყვეტილებით.
3. ახალარჩეული კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა იწყება კომისიის თავმჯდომარის არჩევნების შედეგების კომისიის გადაწყვეტილებით დამტკიცების მომენტიდან.